

აღზევანს წასვლა

მარილზედ მივლენ ბიჭები,
დარდი არა აქვთ გულშია,
ურემი მისდევს ურემსა,
შოლტების ტყლაშა— ტყლუშია!..
ნაცადი ბიჭი მიუძღვის,
ტკბილად დამღერის ხარებსა,
ჰფიქრობს, მოივლის აღზევანს
და ცოლ— შვილს გაახარებსა.

ნაღზევანს წავალ მარილზედ,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
გაუწი, შინდავ გიშერას,
რადა ღალატობ ტოლსაო=

გაუწი, ქედის ჭირიმე,
გიშერა ცოდო ხარია,
უშველე, ნურას ცუღლუტობ,
ტოლს დაუჭირე მხარია...
ურემი, ჩემი ურემი,
გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე— ღრისა...
აღზევნის მთა და ბარისა...
ღერძი უდგია წიფლისა,
გასაპნულ— გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგზის მორგვებით
გახეშილ— გაჭედილია;
უბე გავაწყე ლართხებით,
დანდლებით გადაბმულია,
ისე გაუძლებს ასს— ქვასა,
არსად დასქირდეს ცულია.
თვლები დავკვერცხე, რა თვლები,
გრგოლივით ჩამოსხმულია,
ჯაგ- რცხილის ფესვებს მოვკიდე
სოლებად იფნის გულია...
გინდ გავატარებ თოკზედა,
არ მოკვდეს ჩემი თავია!..
გაუწი, შინდავ. გიშერას,
ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავია!..
აღზევანს მივალთ მე და შენ,
როგორ არ გაგვიხარდება.

ლოკე და ლოკე მარილი,
არავინ გაგიჯავრდება...
შენ რაღას ხვნეში, ნიკორავ=
ღონე თუ გამოგლევია=
ეშმაკობ თორემ ჯერ ირმას
შენთვის არ დაუძლევია!.

აღზევანს წავალ მარილზედ,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო!..ნ

1883 წ.